მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს. ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

**სამხედრო-საველე სასამართლომ დეშლაგირში გადაუწყვეტა ხუთს ჯარის კაცს სამურის პოლკისას სიკვდილით დასჯა. ვარშავაში გუშინ სროლის დროს მოკლულია 150 კაცი.**

№ 49 შაბათი, 5 აგვისტო, 1906 წ. თბილისი № 49

ასოთ-ამწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

**ერთ გვერდზე**

დაწერილი.

## ბიულლეტენი რუსეთის სულთმობრძავ სახელმწიფოსა.

დილის ცხრა საათზე, ვლოცლავსკში მოკლეს პოლიცმეისტერი მირონოვიჩი. იმავე დღეს თავის სახლში მოჰკლეს „სტრაჟნიკების" უფროსი კაპიტანი პეტროვი. ვარშავაში ორი ბომბი გადაისროლეს და მოჰკლეს ოთხი „გოროდოვოი"; ბიბაკებში ორი „გოროდოვოი" მძიმედ დასჭრეს. ვარშავაში მეშვიდე უბანში მოჰკლეს „გოროდოვოი", —მეოთხე უბანში უბნის ზედამხედველი.

ლოძში გადააგდეს ბომბა; მეათე უბანი იწვის; სროლაა, მოკლულებია, დაჭრილებია და დასაჩხრეკულებიც.

ორ აგვისტოს ვარშავაში დაესხნენ პოლიციელებს: მეორე უბანში დასჭრეს 2 „გოროდოვოი", მეოთხე უბანში უბნის ზედამხედველი, მეშვიდე უბანში მოჰკლეს „გოროდოვოი", —ერთ ქუჩაზე ჟანდარმი, მეორეზე — „გოროდოვოი" და დასჭრეს სალდათი. კიდევ ვარშავაში დასჭრეს მძიმედ 2 „გოროდოვოი", გამვლელი, კიდევ უბნის ზედამხედველი კიდევ „გოროდოვოი", კიდევ უბნის ზედამხედველი — „გოროდოვოი", მძიმედ დასჭრეს, ჟანდარმი და მოჰკლეს კიდევ ჟანდარმი.

ამგვარად მხოლოდ შუადღემდი ვარშავაში მოკლულ იქმნა 26 „გოროდოვოი", ჟანდარმი, სალდათი და სხვა.

ნიჟნი ნოვგოროდი. გორდეევკაში აგვისტოს დაიწვა ოთხი უბანი, და სხვა და სხვა.

ამ ბიულლეტენებიდგან როგორც ჩანს ავადმყოფი ძლიერ ტკივილებს უჩივრია, ტემპერატური მაღალი ჰქონია და სულის თქმა უსწორ-მასწორი; ზოგი ექიმები, როგორც შინაგან საქმეთა მაგალითად ამბობენ, რომ ავათ მყოფს დაულევრივით გადუღებული ტყვია ან პატრონებით „გაბრიგინებული" ტყვის მტყრო ცნელებით ან კიდე რევოლიუციონერები ყველა ჯურის მოეხარშოთ და ავადმყოფს მათი ბულიონი დავალევინოთ. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ შინაგან ავათმყოფობათა ექიმობას მეცნიერები ეჭვის თვალით უყურებენ და ადარებენ მათ მკითხავებს. რომლებიც სოფელში ხალხს ატყუებენ. ამიტომ მაინცა და მაინც შინაგან საქმეთა, ესე იგი ავათმყოფობათა ექიმებს ზოგნი არ ეთანხმებიან და ამბობენ რომ ამპუტაცია იქმნება საჭირო. როგორც დოსტაქრები ისინი ოპერაციის მომხრე უფრო არიან.

ზოგნი ქირურგებსაც არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ ქირურგები მახინჯებს ავრცელებენ ამ ქვეყანადო.

ზოგი ამბობს, რომ რადგან ავათმყოფის ტემპერატურა ძლიერ მაღლა აიწია და ავადმყოფს ტანში ცოფი შეუვიდა, ამიტომ მათი აზრით უმჯობესია ცოფიანს ასეთი წამალი დავადევინოთ, რომ თან გადატანოს ამ წამალმაო. როგორ წავა საქმე არავინ იცის.

ავადმყოფის უკანასკნელმა გასინჯვამ აღმოაჩინა, რომ ავადმყოფი, სახელმწიფო ორსულად ყოფილა; როგორც ჰფიქრობენ ტყუპი უნდა იშვასო.

საღამოზე ხმები გამართლდა და ავადმყოფი, ფეხ-მძიმე განთავისუფლდა არა ავადმყოფობისაგან, არამედ მხოლოდ ორსულობისაგან და შესძინა კაცობრიობას ტყუპი: კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები.

---

## ნიმუში ჩვენებურ სოც.-დემოკრატების ვაჟკაცობისა.

ამ რამოდენიმე დღის წინად ერთმა აქაურმა სოც.-დემოკრატმა საგმირო საქმეები ჩაიდინა, მაგრამ რაცხა მიზეზით მისი მოქმედება ქებათა-ქებით არ მოუხსნებიათ გაზეთებში და ამიტომ იძულებული ვარ მე შევამსო ეს შეცდომა.

როდესაც მიწინავე ახალგაზდობა მსჯელობდა სხვა და სხვა ამ დროულ საკითხებზე, ლაპარაკში ჩაერია ერთი არა მკითხე სოც.-დემოკრატი, მაგრამ როცა მას საბუთები შამოელია დემაგოგობას მიჰყო ხელი; როცა მოწინაღმდეგეს ესეც არ დარჩა შეუმჩნეველი და ს. დ. ამით ფონს ველარ გავიდა, ძალ-მომრეობას, ფიზიკურ ძალას მიჰყო ხელი: აილო და მაგარი სილა გააწნა მოწინააღდეგეს ლოყაზე. უკანასკნელი, რასაკვირველია, სოც.-დემოკრატისაგან ამას აღარ მოელოდა და ამ მოულოდნელობამ ცოტა არ იყოს დააბნია, მაგრამ შემდეგ ჯიბეზე გაისვა ხელი, ამოიღო რევოლვერი და ის იყო უნდა ესროლნა, რომ იქ დამსწრეებმა ხელი სტაცეს და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ასე თუ ისე დაამშვიდეს. ამან პარტიებში თუ ჯგუფებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია (შეურაცხყოფილი ერთ ჯგუფს ეკუთვნოდა) ზოგი ლაპარაკობდა, რომ პარტიიდან განდევნილ იქმნება, ზოგი რას და ზოგი რას. ბოლოს შეურაცხყოფილმა კ—მა შეურაცხყოფილი დ—ძე დუელში გამოიწვია, მაგრამ სასირცხვილო ს.-დ. სოც.-დემ. უკანასკნელი გალაჩრდა და აღარ გამოჰყვა, ხოლო თავს კი იმითი იმართლებდა, რომ ეს პრინციპის წინააღმდეგიაო, თუმცა რამოდინემე ჯერ სიტყვიერად და გაზეთ „შიკრიკშიაც" სოც.-დემ. უარს არ ჰყოფდა რომ მხეცობა ჩაიდინა და ბოდიშს იხდიდა. ამგვარ დალაჩრებამ საქმე მიაფუჩეჩა ჯერ-ჯერობით. ამით გახარებულმა და გამარჯვებულმა სოც.-დემოკრატმა მოუყარა თავი ძმა-ბიჭებს და დუქან-დუქან ქეიფი დაიწყო: შევიდა ერთ რესტორანში და რა არ მიართვეს შამპანაურები (აბა, უბრალო ღვინოებს ხომ არ სვამენ ლიდერები)... ხოლო მათი მუშები, იწყინა და ბოთლი და ღვინო გაპსტყორცნა მებუფეტეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს იმისთანა არაფერი უკადრებია სოც.-დემოკრატისათვის; უნდა აღვნიშნოთ რომ ეს რესტორანი ორჯელ დაიკეტა სოც.-დემ. ლიდერების თვითმპყრობელობის დროს მათივე წყალობით.

აი, მკითხველო, როგორი პარტიის წევრებითაა შემკობილი ქუთ. სოც.-დემ. პარტია!

ნუ თუ ამისთანა მოქმედებას კიდევ ექირვება კომმენტარიები?!

საჭირო და საგმირო საქმეების დროს იმალებიან, ხოლო მარკოზასთანა არსებებთან კი დიდ ვაჟ-კაცობას იჩენენ!...

მახლას, მეტი რომ არა ვსთქვათ.

დამსწრე „მუშა" ი. ტაპაპაძე.

---

## ლანჩხუთელ „ლამპარ-შიკრიკის" კორესპონდენტს ბ-ნ. თ. ლისაშვილს *).

ძლიერ მაგარი სულის პატრონი კაცი უნდა იყოს, რომ სირცხვილის ცეცხლისაგან ფერფლად არ იქცეს, როდესაც ლანჩხუთიდგან, ბ-ნ თ. ლისაშვილის მიერ ტალღის მე-3 ნომერში დასტამბულ წერილს კითხულობს. ბ-ნ თ. ლისაშვილის მაგივრად მე შემრცხვა... „განდიდების მანიით" ავადმყოფ კაცისაგან როგორიც არის ბ-ნი თ. ლისაშვილი არაფერი არ არის საკვირველი; მაგრამ ჩემი მოვალეობაა გამოვაშკარავო მისი ასეთი უგვანო საქციელი. აი, რას სწერს ის თავის კორესპონდენციაში: „ლანჩხუთის ბოქაულმა, დუმის დათხოვნით წათამამებულმა, გაამათრახა წილოსანი, ფირცხალაიშვილი, იმნაიშვილი, ებრალიძე და სხვა. ეს კიდევ ცოტა სასჯელი! იმ ღამესვე შუაღამის 1 საათზე, თავის ბინაზე დაიცა „ლამპარ-შიკრიკის" კორესპონდენტს ამხ. თედორე ლლონტს, იმისათვის რომ მან ხალხს გააცნო მთავრობის მოქმედება მხარეში. როგორც შევიტყვეთ, კორესპონდენტი მიქიაშვილს კაზაკების კაზარმაში გაეგზავნა და ერთი კაზაკისათვის ეთქვა: ეს ჩვენი მტერია, ეს არის გაზეთებში რომ გვლანძღავს და გალახეთო. მაგრამ კაზაკებმა ბოქაულის სიტყვას ყურადღება არ მიაქციეს და კორესპონდენტს ზრდილობიანათ შეხვდენ."

ბ-ნი თ. ლისაშვილი დიდ ალგს აძლევს **თავის თავს** ცხოვრებაში, უკიდურესი „განდიდების მანიით" არის შეპყრობილი. დაატუსაღეს

*) თ. ლისაშვილი, იგივე თედორე ლლონტია.

„ლამპარ-შიკრიკის“ კორესპონდენტი, იმიტომ რომ მან გააცნო ხალხს მთავრობის მოქმედებაო, თუმცა არავითარი გაცნობა მისი მხრით არ იყო საჭირო. ერთი ეს, მეორეც ბ-ნი თ. ლისაშვილი კორესპონდენტი არ გახლავთ. ყველა იმას ვინც გაზეთში ორიოდე ახალ ამბავს გაგზავნის, კორესპონდენტი არ ქვია. აბა მითხარით რა კაცია ის კაცი რომელიც ცდილობს რომ **თავის თავი** თვითვე გააცნოს ხალხს, არა ჭკუით და გამოცდილებით, არამედ ისეთი ბავშური და პროვაკატორული წერილებით როგორიც იყო მაგალითად „შიკრიკში“ მოთავსებული კორესპონდენცია, რომლის შედეგი იყო ლანჩხუთში ფანრების დამტვრევა, გამათრახება და სხვა... იმიტომ, რომ თავისი სახელი გაზეთის ფურცლებზე გამოიტანოს და ხალხს დაანახვოს, „აი შემომხედეთ რა ბიჭი ვარ გაზეთში ვსწერო“, ასეთ პროვაკაციას აძლევს შემთხვევას. გამართლდა მუშის მე-17-ტე ნომერში მოთავსებული წერილი, სადაც თქმული იყო, რომ ბ. თ. ლლონტი სწერს და ლაპარაკობს მხოლოდ იმიტომ რომ სახელი მოიხვეჭოს და თავისი თავი, საზოგადო მოღვაწეთ დასახოსო; გამართლდა ეს იმიტომ რომ თვით ბ. თ. ლისაშვილის წერილი სავსებით ეთანხმება მას, გამართლდა იმიტომ რომ ბ-ნი თედორე **ლისაშვილი თვითონვე სწერს თვის მნიშვნელობაზე, და მესამე პირის ენით ლაპარაკობს.** ეს პირდაპირი რეკლამაა. ურჩევ ბ-ნ თედორე ლისაშვილს ასეთ რეკლამებს თავი გაანებოს და ცოტა-მაინც „განდიდების მანიით“ შეპყრობილ მის არსებას შესაფერი წამალი მოუნახოს, თორემ თუ ასეთი „განდიდების მანიით“ შეპყრობილი წერილები სუყველას თუ მოუთავსეს გაზეთის ფურცლებზე, ქაღალდი არ აუთავდებათ; და ამასთან ერთად სირცხვილი იქნება იმ გაზეთისათვის რომელიც ისეთ რეკლამებს უთმობს ალაგს, როგორიც არის ბ-ნ თ. ლისაშვილის კორესპონდენცია.

დ. ე—ძე.

## რას იტყვით ამაზედ მუშებო?

სწორედ დარწმუნებული არ ვიყავი, თუ მართლა ს.-დემოკრატები ასე ხელჩაკიდებულნი იყვნენ ბურჟუა-კაპიტალისტებთან იმიტომ რომ რაც უნდა იყოს, სოციალისტების სახელს ატარებდენ. დღეს კი ვხედავთ ამ სოციალისტებს, წარმომადგენელს უგზავნიან ს.-რევოლიუციონერებს, რომ ფული ძალით არ წაილოთ ბურჟუა-კაპიტალისტებისაგანო თორემ ჩვენ იძულებული ვიქმნებით დავიცოთ თქვენგანაო, რადგან ეს ანტი-რევოლიუციონური მოვლენაა, ბურჟუები ჩამოგვშორდება და ჩვენ წინააღმდეგ წავაო. ამაზედ ს.-რევოლიუციონერების პასუხი შემდეგი იყო: თუ კი თქვენ იძულებული გახდებით დაიცოთ ბურჟუები, ჩვენ მაშინ იძულებული ვიქნებით და ვალდებულიც ვებრძოლოთ როგორც ბურჟუებს, ისე იმათ დამცველ პარტიასაო. **ეს წარმომადგენელები იყვნენ თურმე გამოგზავნილი თვით ს.-დემოკრატების ორგანიზაციიდგან, როგორც თვითონ** აღიარეს თურმე და მასთან ოფიციალურად წინადადება მიუციათ ს.-რევოლიუციონერებისათვის, დაანებეთ თავი ძალით ფულის გამორთმევას. ეს იმას გამოუწვევია, რომ ბურჟუებს და კაპიტალისტებს უჩივლია იმათ ორგანიზაციაში. მე კი სხვას ვფიქრობდი და ეხლაც სხვას ვფიქრობ, მეგონა რომ ბურჟუა-კაპიტალისტები კაი ხანია ჩვენი მოწინააღმდეგეები იყვნენ და დარწმუნებულიც ვიყავი და ვარ რომ ნებით ისინი არასფერს არ მისცემდენ თუ ძალით არ გამორათმევდენ; მე კაიხანია დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ ჩამოშორებული გვყავდა ბურჟუა-კაპიტალისტები და ეხლა ამის შემდეგ რაღა უწოდა ამ ვითომ და სოციალისტურ პარტიას ს.-დ.? სწორედ მაინტერესებს გაზეთით მიპასუხონ მხოლოდ მუშებმა და არა სხვა ვინმემ.

მუშა პროკოპი.

## ახალი ამბავი

სამტრედიიდან გვატყობინებენ, რომ იქ 3 მარიამობისთვეს რევოლვერით მოუკლავს ვიღაც უცნობს კოპიტნარში გზის დასათვალიერებლად მიმავალი მელიტონ ქაჩიბაია. მკვლელი მიმალულა.

— 3 მარიამობისთვეს გენერალ-გუბერნატორის ნებართვით წლიური კრება ჰქონდა ნოქართა ურთიერთ შორის დამხმარებელ საზოგადოებას. დაესწრო დიდძალი წევრები. კრებამ ჯერ მოისმინა მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობაზე და ანგარიში შემოსავალ-გასავალზე წასულ 1905 წლ. მცირე შენიშვნის შემდეგ კრებამ მოხსენება დაამტკიცა და შემდეგ შეუდგა გამგეობის მოხსენების განხილვას შესახებ წინანდელი წესდებულების თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად შეცვლაზე. კრებამ პრინციპიალური თანხმობა განაცხადა წესდების შეცვლაზე და შემდეგ შეუდგა რედაქციონურ კომისიის არჩევას, რომელიც გამგეობასთან დამის არჩეულ მცოდნე პირებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ახალი წესდება. წესდება ერთი თვის შემდეგ წარედგინება დასამტკიცებლად საგანგებოთ მოწვეულ კრებას.

— 4 მარიამობისთვეს ქალაქის ბაღში-ბზილობრივმა სპარსეთის ქვეშევრდომმა თათრებმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს მეჩეთში შაჰისაგან კონსტიტუციის მონიჭების გამო. პარაკლისს დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. იყვნენ კონსული, პრუსსის წარმომადგენელნი და მრავალი სხვა პირები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა შეიხ-ულ-ის-ლამმა, რომელმაც აღნიშნა დიადი მნიშვნელობა შაჰისაგან მონიჭებულ კონსტიტუციისა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სპარსეთის კონსულმა, სადაც რასაკვირველია, ქება-დიდება შეასხა თავის მთავრობას. უკეთესი სიტყვა „მოლანასრედინის“ რედაქტორმა წარმოსთქვა. მან დაახასიათა სპარსეთის მდგომარეობა და გამოსთქვა ეჭვი, როს ახალი კონსტიტუცია ბევრს არაფერს გააკეთებს როგორც ვერაფერი გააკეთა წინან

## ფელეტონი

### ანარქიზმის მოკლე სისტემა

(ე. მალატესტასი)

**საუბარი მეათე.**

(გაგრძელება *).

**ამბროსაზ.** ეხლა ვილაპარაკოთ ოჯახზე. თქვენი პრინციპის და მიხედვით დედაკაცებიც საზოგადო სარგებლობას უნდა შეეფარდონ, ასე რომ უნდა ააშენოთ დიდი არამხანა, (საჯალაბო) არა?

**გიორგი**. გესმით! თუ თქვენ გინდათ მელაპარაკოთ სერიოზულად, თავხედობას თავი დაანებეთ! კითხვა სერიოზულია და ხუმრობას აქ ადგილი არა აქვს.

**ამბროსაზ.** დიახ... მე სერიოზულა გეკითხებით: რას უზამთ მაშინ დედაკაცებს?

**გიორგი**. უკაცრავად, მაგრამ მე მაოცებს როგორ არ გესმით რას ლაპარაკობთ. საზოგადო სარგებლობა დედაკაცებისა! კი მაგრამ რატომ არ მეკითხებით მამაკაცების საზოგადო სარგებლობის შესახებ? ცხადია რატომ: ტრადიციონურ ჩვეულების და მიხედვით თქვენ უცქერით დედაკაცს, როგორც დაბალ არსებას და მოსამსახურეს, როგორც სიტკბოების იარაღს თავის ბატონისათვის; აი რატომ ლაპარაკობთ თქვენ იმაზე, როგორც ნივთზე და გინდათ გაარკვიოთ მისი დანიშნულება. მაგრამ, ჩვენთვის დედაკაცი —უპირველეს ყოვლისა ადამიანია, ადამიანური არსება თანასწორია ჩვენთან, რომელიც უნდა სარგებლობდეს იმავე უფლებებით და იმ საარსებო საშვალებებით როგორც სარგებლობს მამაკაცი. აქედან სჩანს, რომ თქვენი კითხვა: რას უზამთ მაშინ დედაკაცებს? გამოდგა აბსურდი. შეიძლება კითხვა: რას იქმენ დედაკაცები? ამაზე მე გიპასუხებ: ისინი იქმენ იმას, რასაც მოინდომებენ. მათთვის როგორც ყველა ადამიანებისათვის, აუცილებელია კავშირი სხვებთან, და ისინი, როგორც სხვები შეუკავშირდებიან თანამოაზრე როგორც მამაკაცებს ისე დედაკაცებს, საერთო საკეთილდღეოთ.

**ამბროსაზ.** მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა თქვენ სცნობთ დედაკაცს, როგორც მამაკაცთან თანასწორს. ბევრი ნასწავლი ხალხი რომელთაც ესმით ანატომიური აგებულება ტვინისა და ფიზოლოგიური ფუნქციები დედაკაცის ორგანიზმისა, ამტკიცებენ, რომ დედაკაცი ბუნებრივად დაბლა სდგას მამაკაცზე.

**გიორგი.** ვიცით ჩვენ თუ ვინ არიან ეს მსწავლულები! მართალია, ზოგიერთი მსწავლული სცნობს რომ დედაკაცი დაბლა სდგას მამაკაცზე, მაგრამ ამავე დროს არიან სხვები რომლებიც პირიქით, ამტკიცებენ, რომ როგორც მამაკაცს ისე დედაკაცს განვითარების ნიჭი ერთგვარი აქვს; და თუ ეხლა უმეტეს შემთხვევაში დედა-კაცები ვერ არიან განვითარებულნი მამაკაცებსავით, ეს დამოკიდებულია მის აღზრდისაგან და იმისაგან თუ რანაირ წრეში იმყოფებიან. ცოტაა ისეთი: საჭიროა ძებნა და თქვენ იპოვით ნასწავლ დედაკაცებს, რომლებიც საფუძვლიანად ამტკიცებენ, რომ მამაკაცი არის დედაკაცზე დაბალი არსება, რომლის დანიშნულებაა დედაკაცისათვის მატერიალურათ მხარის დაჭერა, კაცობრიობის გამრავლებისათვის.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ყველა ასეთი თეორეტიული სიბრძნე არაფერს არ შველის ამ კითხვას: ის შეიძლება მხოლოდ გარდაწყდეს პრაქტიკულათ. მიეცით დედაკაცს ყოველი საშუალება და სრული თავისუფლება განვითარებისა და რეზულტატი სასურველი აღმოჩნდება. ფაქტები დაგვიმტკიცებენ, ვინ უფრო განვითარებული დარჩება დედაკაცი თუ მამაკაცი; მეცნიერება სარგებლობს გამოცდილებით, და მხოლოდ შემდეგ ამისა, რომ დაემყარება ამდენს გამოცდილ ფაქტებს მეცნიერებას საშვალება ექმნება რომ მოგვცეს პირუთვნელი დასკვნა.

**ამბროსაზ.** როგორ უყურებთ თქვენ ბუნების ნაანდერძევ სხვა და სხვაობას ცალკე პირებისას?

**გიორგი.** როგორც უნდა იყოს ბუნებისაგან ნაანდერძევი ის არ უნდა იძლეოდეს პრივილეგიურ უფლებებს. ბუნებაში თქვენ ვერ იპოვით ორს ერთგვარ ინდივიდს; მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ ყველასთვის სოციალურ თანასწორობას, ე. ი. პირობანი და განვითარებისათვის საშვალებანი ყველასთვის ერთგვარი უნდა იყოს,—და ჩვენც გვრწამს, რომ ეს თანასწორობა პასუხს აძლევს სამართლიანობის

*) იხილე „მუშა“ ნომერი 47.

...ელმა კონსტიტუციამაც, რომ ...ის შემდეგაც სპარსეთში სისხ...ის ღვრა არ შეწყვეტილა. ამ ...ტყვებზე კონსულმა შენიშვნა ...სცა და „ალადგინა“ სიმართლე ...თ, რომ სთქვა სპარსეთში სისხლის ...ვრა არ მომხდარაო.

...სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სო...ურ გაზეთის „მშაკის“ თანამშრო...ელმა, რომელმაც სისხლით აღნიშ...ა დღევანდელი მომენტი და მიუ...ლოცა თათრებს კონსტიტუცია.

— სამხედრო უწყესს შეშურვე...ია ისედაც დღევანდელი უსიცოც...ლო პრესის „თავისუფლება“ და ...მდეგი საშვალება გამოუძებნია, ...ომ პრესსას კრინტიც კი ჩააკმენ...ოს. უმთავრესს სამხედრო შტაბს ...ნადადება მიუცია თავის ხელ...ვეით შტაბებისათვის, რომ მათ ...აიარსონ თავისთან ბეჭდვითი ...ქმის მეთვალყურე ბიურო, ...ომელიც მოვალე იქნება თვა...ყური ადევნოს ყოველ დღი...ურ და სხვა გამოცემებს, რომ არა...ერი ილაპარაკონ დამსჯელ ჯარე...ზე, მათ უმფროსებზე და სხვა სამ...ედრო დაწესებულებებზე და კერ...ო პირებზე.

ამ მიზნით ადგილობრივ, კავ...სიის, სამხედრო შტაბს უთხოვნია ...ცენზურო კომიტეტისათვის, რომ ...ნ შეატყობინოს შტაბს, თუ რამ...ენი პერიოდული გამოცემა არის ...ვკასიის სანამესტნიკოში

— თბილისის პოლკის კომანდირი ...დღ-ებში შეკითხვებია კავკასიის ...ცენზურო კომიტეტს, რომ მისცა ...უ არა „ახალი ცხოვრების“ რე...აქტორი კომიტეტმა პასუხისგებაში ოფიცერ ზაალიშვილის ცილის წამების გამო.

როგორც ეხსომებათ მკითხველებს ამ ვაჟ-ბატონმა მეტეხის კარებში ორი ყმაწვილი კაცი მოაკვლევინა და „ახალ ცხოვრებაში“ ამაზე იყო ლაპარაკი.

— სადგურ კასპის მახლობლათ 242 ვერსტზე ცეცხლი გასჩენია ყარაულის სადგომს. სადგომი ერთიანად გადამწვარა. შიგ მცხოვრებ ყარაულის ოჯახობა იღბლათ მოსულის საქონლის მატარებელის მემანქანეს გადურჩენია დაწვას და ცეცხლიც ჩაუქრიათ. ცეცხლის მიზეზით რამოდენიმე ხნით შეუჩერებიათ მატარებელი.

— როგორც გუშინდელს ნომერში გვქონდა მოხსენებული ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის თავმჯდომარეობით შემდგარი კომისიის გადაწყვეტილება ს. ხალხო მატარებლების კომენდანდების შესახებ უკვე სისრულეში მოუყვანიათ და ამიერიდან ახლავს კომენდანტი, ოფიცერი 6—7 ჯარის კაცით.

---

*
* *

სოციალ-დემოკრატების აგიტატორ-პროპაგანდისტები ურჩევენ ხალხს: სოციალისტ-ფედერალისტები არ შემოუშვან, არ ალაპარაკონ ზიზღი გამოუცხადონ. მე, ამ სტრიქონების დამწერი სოციალისტ-ფედერალისტი არა ვარ, მიუხედავად ამისა ვალდებულად ვთვლი ჩემ თავს გკითხოთ ბ. სოც.-დემოკრატებო: რატომ არ გინდათ ალაპარაკოთ სხვა პარტიები? რათ არ უნდა ვიცოდეთ ს. ფ. და სხვათა აზრი.

თუ თქვენ სოციალ.-დემოკრატიული პროგრამის მეტი არა გესმით რა მიგეტევებათ.

თუ-კი, სოც.-დემოკრატების პროპაგანდისტ-აგიტატორებო, მოგისმენიათ სხვა და სხვა პარტიების ნალაპარაკევი, მათ დებატებს დასწრებიხართ, მათი ნაწერი წაგიკითხავთ, თუ თქვენ გიქნიათ ყველა ეს ჩვენ რათ არ უნდა ვქნათ? რათ არ უნდა გვქონდეს ჩვენც ნება სხვა პარტიების გაცნობისა? რათ გვეძახით ამხანაგებს? და თუ ამხანაგათ გვთვლით, რათ გვიშლით დაწვრილებით გავიცნოთ შეძლების დაგვარად სხვა და სხვა პარტიები; ყოველ წამს რომ იძახით: „სოციალისტ-რევოლიუციონერები ბურჟუაზიის დაქირავებული პარტიააო“ — ბარემ ისიც თქვით, ვინ არიან ბურჟუები, რანაირ მდგომარეობის კაცს უძახით ბურჟუას, რაში გამოიხატება ს.-რევოლიუციონერების მიერ ბურჟუაზიის ინტერესის დაცვა, რა საბუთი გაქვთ იმისი, რომ სოც.-რევ. ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული არიან.

სამეგრელოში ცნობილმა ორატორმა სოც.-დემოკრატებისამ მიტინგზე სთქვა: სოც.-რევოლიუციონერებს უნდათ გლეხი და მუშა ერთმანეთს ჩამოაშორონ, ერთი მეორეს მოწინაალმდეგე მტრათ გადააქციონ,— ჩვენ კი სოც.-დემოკრატები, როგორც მუშების ისე გლეხების ინტერესს გიცავთო; თუ ეს ასეა, თუ თქვენ მართლა იცავთ მათ ინტერესებს, რა მიზეზით ჩამოშორდა ჩვენ მიერ ამორჩეული თქვენი დეპუტატები რუსეთის გლეხთა (მშრომელი ჯგუფი) დეპუტატებს, ისინიც ხომ ისე იცავდნენ მუშათა ინტერესებს როგორც სოც.-დემოკრატი დეპუტატები?

პარლამენტში ლაპარაკობთ გლეხები თუმცა გაყვლეფილი არიან, მაგრამ როგორც არა პროლეტარი მათი ინტერესი არსებითად ეწინაალმდეგება პროლეტარიატის ინტერესს, და ჩვენ როგორც წმინდა (უწმინდური რომელია?). კლასიურ ნიადაგზე მდგომი, მეცნიერულ სოციალიზმის მიმდევრები მათ (გლეხეიბს) ინტერესებს ვერ დავიცავთო: თუ თქვენ გლეხების ინტერესებს ისე არ იცავთ, როგორც მუშისას, თუ გლეხი და მუშა თქვენი შეხედულობით სხვა და სხვა კლასია,— ჩვენ გლეხებს რა გვატყუებთ? თუ იმას, რასაც გვპირდებოდით არ გაატარებდით პარლამენში სხვაგან სად გამოხვალთ ჩვენი ინტერესების დამცველად! თუ საიქიოში გვპირებთ გამოქომაგებას? დასასრულ მოგიწოდებთ მუშებო და გლეხებო, დაწვრილებით გავეცნოთ ყველა სოციალისტურ პარტიებს სოციალურ ეკონომიურ საკითხებზე.

ჩვენ ნუ თუ იმდენათ ველურები ვართ, რომ სიტყვის მოსმენა არ შეგვიძლია, ნათქვამის ჩვენ მდგომარეობასთან შედარება და უბატონოთ, უშიშრათ, ამხანაგებთან მაინც ჩვენი აზრის გამოთქმა?

ი. ფ. გ.

---

## ჭიათურის ახალი ამბები.

31 ივლისს, მატარებელმა ფეხები წასწყვიტა ვაგონზედ მომუშავე მუშას, ჯერ არ მომკვდარა, საავადმყოფოში წაიყვანეს. სწორედ ბრაზი მოერევოდა ამ მუშის მნახველს, როდესაც ის სტიროდა და ყვიროდა „დედავ მიშველევო“; ამ დროს დედა მისი აქვე ყოფილა სადგურზედ, მაგრამ არ მიუყვანეს თავის შვილს, რადგან შეუძლებელი დარჩა. აი როგორიცაა მუშის სიცოცხლე, აი სად წყდება მუშის ბედ-იღბალი, აი სად ლევს სულს ორიოდე გროშისთვის ისიც კაპიტალისტების ჯიბის გასასქელებლად!..

30 ილისს, საღამოს პატარა ბავშვი ასე 10 წლისა გაზეთ „მუშას“ დაატარებდა გასასყიდათ. იქვე სადგურთან მახლობლად დუქანია, და ამ დუქანში მოვაჭრე ახალგაზრდა გაჭარიან ხ. სარჯველაძესთან შესულა ეს ბავშვი და გაზეთი მიუწოდებია, იყიდეო, ამ ვაჟბატონს ყიდვის მაგიერად გაზეთები გამოურთმევია ხელიდგან და **გადაუყრია,** ამაზედ ბავშვს რაღაცა უთქვამს ამ პატიოსან ვაჟბატონისათვის, ეს ვაჟბატონი გაზეთების გადაყრას არ დასჯერებია და **სილაც უჭმევია** ამ ბავშვისათვის. ნუ თუ გასაკიცხი არ არის ამ გვარი ვაჟბატონი, როდესაც ძუძუ-მწოვარა ბავშვს ხელს ახებს და გაზეთებს უყრის. ნუ თუ არ უნდა მოელოს არასოდეს ბოლო ამნაირ ვაჟბატონების თავხედობას. ამაზედ მკითხველს ვეკითხები, რის ღირსია ამნაირი ვაჟბატონები?*)

---

# პროვინცია

**თელავი.** ყველამ იცის, როგორ გახშირდა ამ უკანასკნელ ხანებში ბოიკოტით დასჯა, მაგრამ ბოიკოტიც არის და ბოიკოტიც.

აი ერთი მაგალითი მსჯელობა მოკლებულ, შეუბრალებელ და მხეცურ ბოიკოტისა. ამას წინედ მუკუზნის (თელავის მაზრას) საუფლისწულო მამულში (უდელში) მომუშავე გლეხებმა გაიფიცნენ ს.-დემოკრატების ხელმძღვანელობით და ბოიკოტი გამოუცხადეს უდელის მოხელეს ო.—კოს. შეგროვილი მომუშავენი, რომ მისულან მოხელის სადგომთან მოთხოვნების და უკმაყოფილების განსაცხადებლად, ო—კოს მეუღლეს, ორსულს, შეუშინებია და მუცელი გაუ-

*) დარწმუნებული იყოს ეს ვაჭარი, მოძალე ვაჟბატონი, რომ ჩვენი სიყვარულის სიაში, იქმნება შეტანილი. რ, შ.

---

...რძნობას და ძმურ სიყვარულს, ...ომელიც ჩასახულია კაცობრიო...ბაში, მამაკაცთა შორისაც არის გო...ებრივ ნიჭის საკმაო განსხვავება ...აგრამ აქედან ის დასკვნა კი არ ...ნდა გამოვიყვანოთ რომ უფრო ...კუის მქონე პირებს მეტი უფლება ...ნდა ჰქონდეს, ვიდრე საშვა...ოსთ.

**ამბრუაზ.** დიაღ, ეს მართალია. ...აგრამ ჩვენ დაუბრუნდეთ საკითხს ...ჯახის შესახებ, გინდათ რომ სულ ...ისპოთ ის თუ მხოლოდ მოაწყოთ ...ვა გვარ საფუძვლებზე?

**გიორგი.** სანამ ამ კითხვას შევე...ბოდეთ, საჭიროა მხედველობაში ...ვიღოთ სამგვარი დამოკიდებუ...ება: ეკონომიური, სქესობრივი ...მობელთა და შვილებთა დამოკი...დებულებანი. თავის-თავად ცხადია, ...რომ ეკონომიურ დამოკიდებულე...ბაში ოჯახი დაჰკარგავს თავის ...მნიშვნელობას, და ფაქტიურად ...სწყვეტს არსებობას როგორც ...ისპობა კერძო საკუთრება, ...მაშასადამე უფლებანიც მემ...კვიდრეობაზე. ამ აზრით ოჯახი ...აქვს პროლეტარიატს ე. ი. ...ცხოვრებთა უპრაველესობას.

**ამბრუაზ.** მაშ სქესობრივ დამოკიდებულებაში? თქვენ სცნობთ მხოლოდ თავისუფალ სიყვარულს და...

**გიორგი.** მაშ თქვენ—მომხრე ხართ ძალდატანებითი სიყვარულის? რასაკვირველია, თანამედროვე საზოგადოებაში ოვითეულ ფეხის გადადგმაზე შეიძლება შეხვედრა ძალდატანებით ცხოვრების, ფარისევლურ სიყვარულის, რომელიც გამოწვეულია ძალდატანებით, ან შიშით საზოგადოებრივ აზრისაგან; შეიძლება შეხვედრა ისეთ მამაკაცებისა და დედაკაცებისა, რომელნიც ინახავენ ქორწინების ნასკვებს რელიგიოზურ ან ზნეობრივ რწმენისთვის; მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ის თავისუფალია.

**ამბრუაზ.** ეს მართალია. მაგრამ თუ თვითეული დაემორჩილება პირველ სიყვარულს, მაშინ შეიძლება ზნეობრივად ითქვას: მაპატიე! და მთელი ქვეყანა გარდაიქცევა სახალხო სახლად.

კოწია ქ—ია.

(დასასრული იქნება).

ფუქებია. ავათმყოფთან მოუწვევიათ ბებია (აკუშერკა), მაგრამ არ მიუშვიათ—მოხელეს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული; აქვე ყოფილა გაფიცვის და ბოიკოტის ხელმძღვანელი და მოთავე (ს.-დემოკრატების მოთავეობა ხომ მათდამი უსიტყვო დამორჩილებას ნიშნავს) ლიდერთაგანი და თელავის სოც.-დემოკრ. ორგანიზაციის წევრი ქ— ი. ყველა ეს ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით მომხდარა. სწორედ ბევრ შემთხვევაში მთავრობასაც კი გადააჭარბეს ზოგიერთმა ს.-დ. ორ-ორგანიზაციებმა და მათმა წევრებმა.

რა შუაშია მეუღლე, როგორც, ამ შემთხვევაში, კერძო ადამიანი, ინდივიდი; ქმარმა რომ რამე დააშავოს, ცოლი რა შუაშია. ოდესაში შვილი რომ ვერ იპოვნეს, მოხუცი მამა დააპატიმრეს,— რათ გამოზარდე მაგისთანა შვილიო. ეს მთავრობის მოქმედებაზედაც გადაჭარბებულია.

საბრალო ს.-დ-ები, ბოლოს მამაკვდევის ჯალათობასაც კი იკისრებენ.

ვ. ჩ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის № 36-ში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: „მარქსისტების სამეფოში“.

რადგანაც ამ წერილში მოთხრობილი ინციდენტი მეხება მე პირადად და ფაქტიც ისე არ არის გადმოცემული, როგორც ეს იყო, გთხოვთ ეხლა ადგილი დაუთმოთ ჩვენს პატარა შენიშვნას თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

ბატონი „ალელი“ თავის გძელ წერილის ბოლოში გვპირდება ყველა იმ ფაქტების დამტკიცებას, რომელიც მან „მუშის“ № 36-ში მოათავსა.

სიმართლის აღსადგენად წინადადებას ვაძლევ ბატონ „ალელს“, პირდაპირი და გადაჭრილი პასუხი მოგვცეს შემდეგ ჩვენ კითხვებზე.

1) მართალია თუ არა, რომ მართლა ვეწვიე მე მას სახლში და ვსთხოვე გამყოლოდა იმერეთში, როგორც გზის მაჩვენებელი, თუ არა?

2) მართლა ბაშფორთები მოგვაიხოვა მან (მამუკა ათის-თავმა, რომელიც მე დავიბარე), თუ იმ ორგანიზაციის რაიმე „იავკა“ (ЯВКА) რომლის წევრად ჩემი თავი ვაღვიარე?

3) მართლა გვკითხა ჩვენ მამუკამ: „თქვენ ნამდვილი სოციალ-დემოკრატები ხართ, თუ ბურჟუა, ხალხის მტრები ფედერალისტები და რევოლიუციონერები, თუ არა?

4) მართლა გვიბრძანა ტანისამოსის გახდა, და გავიხადეთ ,ჩვენ თუ არა?

5. მართლა გაგხადა „რუსეთიდან მოყოლილი ტყავი“, შემოგხსნა ქამარი, გადმოგიბრუნა ჯიბეები, თუ არა?

6) შემდეგ მართლა ჩამოგვართვა ჩვენება, ჩაიწერა სახელი და გვარი, თუ არა? აგრეთვე ჩამომართვა მე ჩვენება, და თუ არა, რატომ?

7) მართლა ბოსელში გაგვზავნა თუ არა?

8) მართლა სთქვა მამუკამ: „ვინიცობაა გაქცევა დააპირონ დახოცეთ, არ დაინდოთო, თუ არა?

9) იმ ღამეს მართლა „მკვდრებივით გაქიმული ვიყავით იმის შიშით ვაი თუ ყარაულს განძრევა გაქცევათ ეგონოს და ორთავენი დაგვხოცონ“, თუ არა?

10. მართლა გაგიცხარდა ბიუროს თავმჯდომარემ (ლ. ი.) რომ იმერეთი მარქსისტების სამეფოს შეადგენს, თუ არა?

როდესაც ბ-ნი „ალელი“ გვიპასუხებს ყველა ამ კითხვებზედ,— ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს საქმის ნამდვილ ვითარებას.

კიდევ ერთი კითხვა „ალელს“: თქვენი აზრით ვინაა საზოგადოთ „მამუკა“: სოციალ-დემოკრატი— მარქსისტი, თუ მარტო დემოკრატი *).

გიორგი.

*) ჩვენ მხოლოდ ერთი რამე გვიკვირს; ალელმა თქვენ წინააღმდეგ რამოდენიმე აზრი გამოსთქვა, თქვენ იმის მაგიერ, რომ მის კითხვებზე და ბრალდებაზე პასუხი მიგეცათ, კითხვებზე კითხვები დაუსვით; ცოტა არ იყოს სოკრატისებური კამათის მეთოდია რედ. შენიშ.

---

# რ უ ს ე თ ი

ამ ახლო ხანებში გათავდება გამოძიება კრონშტატში მომხდარ არეულობის შესახებ. საქმეს იძიებს სამხედრო გამომძიებელი პოლკოვნიკი გოლუბოვი. ორი ათასი დამნაშავენი ისხდებიან ბრალდებულთა სკამზედ. დროებითი სამხედრო სასამართლო, გენერალ მაიორ ტომაშევიჩის თავმჯდომარეობით გაარჩევს საქმეს. ბრალმდებელად დანიშნულია სამხედრო ბრალმდებლის თანაშემწე პოლკოვნიკი ჩუკსანოვი. მათ დასაცავად მოწვეულ იქმნებიან ნაფიცი ვექილები. (XX ვეკ).

—

მოსკოვში მიღებულია ცნობები, რომ აგრარული მობრაობა გაძლიერებულა ვლადიმერის გუბერნიაში. მურომსკის მაზრაში გლეხებმა აიკლეს გრაფინია უვაროვის მამული; როდესაც ჯარი გამოიწვიეს, გლეხებმა მამულებს დაუწყეს ცეცხლის წაკიდება. სუდოვსკის მაზრაში ხდება გლეხთა მიტინგები და ამასთანავე იხდიან პანაშვიდებს ვერაგულათ მოკლულის სახელმწიფო სათათბიროს წევრის გერცენშტეინისას. (XX ვეკ).

—

მაზრების მიწად-მომწყობი კომისიები მოქმედებენ 33 გუბერნიაში. სულ გახსნილია 184 კომისია. ახალ-წლამდე გახსნილი იქნება კიდევ 6 გუბერნიაში; წლიურ ხარჯი თითო კომისიისა ჯდება 47, 000 მანეთი, ისე რომ 184 გახსნილი კომისიები მოითხოვს ხარჯს 8, 649,000 მანეთს წლიურად. (XX ვეკ).

—

სახელმწიფო ბანკები უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ოქროს ფული დააკლდა 2 მილიონ მანეთამდე; ამასთანავე კრედიტების ბილეთებმა აიწია ხმარებაში 15 მილიონ მანეთამდე. ხაზინას დააკლდა 38 მილიონ მანეთამდე. (XX ვეკ).

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

—

**ბელგრადი.** ცნობა, ვითომც მეფე პეტრეს მოსვლოდეს სიდამბლე, ტყუილია. მეფე დაბრუნდა ბელგრადში ჯანსაღათ.

**უფა.** 1 აგვისტოს საღამოს უფის მახლობლად ბოროტ-მოქმედებმა შეაყენეს საფოსტო მატარებელი. გაძარცვეს საფოსტო ვაგონი და წაიღეს 19,000 მანეთი. ნაწილი ფულისა იპოვეს ტყეში.

**კავკავი.** სამხედრო-საველე სასამართლომ დეშლაგერში, გადაუწყვიტა სამურის პოლკის 5 ჯარის კაცს სიკვდილით დასჯა. გადაწყვეტილება მოიყვანეს სისრულეში.

**კიევი.** შეიპყრეს ზდოევსკის მაღაზიაზე დამცემი ხელოსანი რუდნოვსკი. მის ბინაზე ნახეს მასთან მცხოვრები ქალი ერმაკოვისა, რომელმაც გაისროლა ოთხჯერ რევოლვერი და ყუმბარა. ყუმბარამ ზიანი მიაყენა კედელს. არავინ არ არის დაჭრილი. ერმაკოვა გადმოხტა მეორე სართულიდან და მოიკლა თავი.

**ლოძი.** საღამოს 6 საათზედ პოლიციის მესამე ნაწილში გადააგდეს სამი ყუმბარა; შენობას გაუჩნდა ცეცხლი. სახლი დანგრეულია. დაჭრილია 3 პოლიციელი, ერთი ჯარის კაცი და ერთიც ყაზახი. ჯარმა დაიწყო სროლა. ბევრია დაჭრილი და მოკლული. პირველ ნაწილში დაჭრილია პოლიციელი და მოკლულია ჯარის კაცი.

**სარატოვი.** გაიფიცნენ ტრამვაის მოსამსახურენი. მიზეზი, რამდენიმე ამხანაგის დათხოვნა იყო.

**ვარშავა.** თოფების სროლით გუშინ დაჭრილია 15 კაცი და მოკლულია 16. ყუმბარამ რომელიც ესროლეს მეშვიდე ნაწილს, დააშავა 30 კაცი.

**რადომი.** უცნობმა ესროლა ყუმბარა იმ სახლს, სადაც იმყოფება ბოქაულის კანცელარია. მოკლულია ბავშვი. რამდენიმე პირი დაჭრილია. დაიქცა მთავრის ბინა.

**დრუსკელნიკი.** სადგურ ლანში, ხანჟაკოვსკი ჩავარდა მატარებლის ქვეშ. მოეჭრა ორივე ფეხი და ხელი.

**ყაზანი.** კოპილოვის სახლში მოხდა აფეთქება. აღმოაჩინეს ლაბორატორია ყუმბრის გასაკეთებელი. იპოვეს ფაბრიკაცია ყალბი პასპორტებისა, არა-ლეგალური ლიტერატურა და მიწერ-მოწერა. დააპატიმრეს კოპილოვისა, ტეხნიკები რიბაკოვი, პოპოვი სკვორცოვი და სხვანი.

**ეკატერინოსლავი.** იწვის თეატრის შენობა ბრიანის ქარხნისა.

**ლოძი.** გუშინ ღამეს საყვირის ხმის დაწყებისავე ერთ და იმავე დროს ასტყდა სროლა ქალაქის სხვა და სხვა უბნებში. მოკლულია სამი საერობო დარაჯი. ორიც მოკვდა ჭრილობისაგან. მსუბუქად დაიჭრნენ 2 დარაჯი და ჯარის კაცი. ღამე შეიპყრეს კიდევ ოთხი კაცი.

**მოსკოვი.** უსაქმოებმა, რომელნიც გადაასახლეს საზოგადო საქმეთა ბაბაკეირდან დასწვეს ბარაკეზი. შეიპყრეს რამდენიმე აგიტატორი და მათ შორის, როგორც იძახიან, რამიშვილის ძმა.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე.**

---


# განცხადებანი.

„მუშის“ რედაქციაში იყიდება შემდეგი ახლად გამოსული წიგნები.

1) არჩილ ჯორჯაძე. ძველი და ახალი . . . . . . . . 25 კ.

2) კ. ორგიანი. მუშათა კავშირები, მათი მნიშვნელობა და სინდიკალიზმი . 20 კ.

3) პ. კროპოტკინი. კამუნიზმი და ანარქია . . . . . 15 კ.

4) ა. ბურჟე საყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს . . 10 კ.

5) პ. კროპოტკინი. მეამბოხის წერილები . . . . . 5 კ.

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინამდდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.


ელექტრონის სტამბა „გუტენბერგისა“, სასახლის ქუჩ, სახლი ქ.რ. თავ.-აზნაურობისა.